



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბრაუნი იან

ბრაუნი (Braun) იან (15. V. 1926, ლოდი, – 29. V. 2015), პოლონელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და ბასკოლოგი.

დაამთავრა ლოდის უნ-ტი (1951). 1951-55 ასპირანტურის კურსი თსუ-ში გაიარა ა. შანიძის ხელმძღვანელობით და აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ზმნის მრავალპირიანობა“ (1955). სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ვარშავის უნ-ტში, სადაც კითხულობდა ზოგადი ენათმეცნ., შუემეროლოგიის და ე. წ. აზიანტიკური ენების შედარებითი გრამატიკის კურსს.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იკვლევდა ბასკურ-კავკ. ენათა ურთიერთობის პრობლემას, იცავდა ამ ენათა გენეტიკური ნათესაობის თეორიას. აღწერა კრაკოვში დაცული ქართ. ხელნაწერები (1958). მისი მეცნ. თანამშრომლობითა და კონსულტაციით გამოქვეყნდა პოეტ იეჟი ზაგურსკის მიერ თარგმნილი ვეფხისტყაოსნის პირველი სრული გამოცემა პოლ. ენაზე. ის იყო აგრეთვე მეცნიერ-კონსულტანტი იგორ სიკირიციკის მიერ პოლ. ენაზე შედგენილი ქართ. პოეზიის ანთოლოგიისა (ლოდი, 1985) და ინგლ. ქართველოლოგიის დევიდ მარშალ ლანგის ნაშრომის „ძველი საქართველოს“ თარგმანისა პოლ. ენაზე (1972). პოლონურად თარგმნა ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, გ. ლეონიძის რამდენიმე ლექსი, ს.-ს. ორბელიანის იგავ-არაკები, ქართ. ფოლკლორის ნიმუშები.

იან ბრაუნი საქართველოს შესახებ

<https://www.youtube.com/watch?v=NVFDsauCT-4&list=PLue6znsWBAfdUX4MSh1O4SH3xSo-2Brix&index=142>

8. ქუმბურობა
